



საქართველოს მთავრობის დადგენილება

№466 2012 წლის 13 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის
გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia)
დებულების დამტკიცებისა და სამეთვალყურეო საბჭოს
შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის
2012 წლის 12 აპრილის №137 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) დებულებისდამტკიცებისა და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის №137 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/04/2012, 010220020.10.003.016810) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭო

და განისაზღვროს მასში ხმის უფლების მქონე პირები შემდეგი შემადგენლობით:

- | | |
|-----------------------------|---------------------------------------------------------------------------------|
| ბიძინა იგანიშვილი | – საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე |
| გიორგი მარგველაშვილი | – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე |
| ნოდარ ხადური | – საქართველოს ფინანსთა მინისტრი. |

2. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

კერძო სექტორის წარმომადგენელს;

სამოქალაქო (არასამთავრობო) საზოგადოების წარმომადგენელს.“.

2. ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის:

ა.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;“;

ა.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში—თავმჯდომარე), რომელსაც წარმოადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.“.

3. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„51. საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი – საბჭოს თავმჯდომარე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ საბჭოს წევრთაგან დანიშნული პირი. საბჭოს სხდომას

წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდო-
მას ესწრება არანაკლებ წევრთა ნახევარი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

2. Engson



ბიძინა ივანიშვილი